ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი № 9

ქ. ბათუმი 26 ნოემბერი 2015 წ.

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე - ამირან ძაბუნიძე;

სხდომას ესწრებოდნენ:

თეიმურაზ ქათამაძე - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს ქედის მაგისტრი მოსამართლე, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ;

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრები :
ლეილა გურგუჩიანი- ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს შუახევის მაგისტრი მოსამართლე.

ნანა ჭანტურიძე- ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მენეჯერი.

არ გამოცხადდა კომისიის წევრები

ადამ მახარაძე- ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი.
ლილე თანდილავა - დამოუკიდებელი სპეციალისტი, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
ქეთევან თხელიძე-ზესტაფონის რაიონული სასამართლოს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხი :

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობაზე ჩატარებული კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს ამირან ძაბუნიძის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც 2015 წლის 28 ოქტომბერს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოცხადდა კონკურსი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს აპარატში შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

№	თანამდებობის დასახელება	ვაკანსია
1	თარჯიმანი	1

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მათგან, ვინც განცხადება წარადგინა ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრაციული ვებგვერდის მეშვეობით, საკონკურსო საატესტაციო კომისიის 2015 წლის 16 ნოემბერის №8 ოქმის თანახმად,

წარმატებით გაიარა აპლიკაციათა შერჩევის ეტაპი და დაბარებული იქნა გასაუბრებაზე, შემდეგი პირები:

I. სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების თარჯიმნის ვაკანსიაზე:
1. სოფია კობახიძე
2.სალომე დოლიძე
3.მანანა ნაჭყებია

კონკურსის პროცედურებთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ დაფიქსირებულა. საკონკურსო საატესტაციო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე თითოეულ პირს ცალ-ცალკე ეყარა კენჭი. აღინიშნა კონკურსანტების ცოდნა და გამოცდილება, პიროვნული მახასიათებლები. მიენიჭათ შესაბამისი შეფასებები. კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად კომისიის გადაწყვეტილებით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად რეკომენდაცია მიეცა შემდეგ კანდიდატს:

I.სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების თარჯიმნის ვაკანსიაზე:

1. სოფია კობახიძე

კომისიის თავმჯდომარე :

ამირან ძაბუნიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე :

თეიმურაზ ქათამაძე

კომისიის წევრები:

ლეილა გურგუჩიანი

ნანა ჭანტურიძე